

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელოვნური ინტელექტის (AI) საუნივერსიტეტო სტრატეგია

2026 - 2029

შესავალი

დღევანდელ ეპოქაში ხელოვნური ინტელექტის განვითარება უმაღლესი განათლების სისტემის გარდაქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. ტექნოლოგიური პროგრესის სწრაფი ტემპი დღეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აყენებს ახალი რეალობის წინაშე, სადაც მათი როლი აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ცოდნის გადაცემით. დღეს უნივერსიტეტებს უწევთ განათლების, მეცნიერებისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი გამოწვევების შესაბამისად განავითარონ ცოდნის შექმნისა და გავრცელების ახალი ფორმები და ამ პროცესში გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის შესაძლებლობები.

ხელოვნური ინტელექტი უნივერსიტეტებისთვის წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც აუმჯობესებს სწავლა-სწავლების ხარისხს, ქმნის სტუდენტისა და პროფესორ-მასწავლებლის საჭიროებებზე მორგებულ საგანმანათლებლო გარემოს და ამარტივებს ადმინისტრაციულ პროცესებს. სწორედ ამიტომ, ხელოვნური ინტელექტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის აღარ არის მხოლოდ ტექნოლოგიური არჩევანი, არამედ სტრატეგიული მიმართულებაა, რომელიც განსაზღვრავს მათ მომავალ განვითარებას გლობალურ აკადემიურ სივრცეში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიას ხედავს როგორც საშუალებას, რომელიც ამყარებს უნივერსიტეტის მისიას: შექმნას ხარისხიანი განათლება, განავითაროს მეცნიერება და ემსახუროს საზოგადოებას.

ხელოვნური ინტელექტის საუნივერსიტეტო სტრატეგიის შემუშავება დაიწყო თსუ-ის რექტორის ხელმძღვანელობით, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით. დოკუმენტის შექმნის პროცესში გამოყენებულ იქნა საერთაშორისო გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკები, რომლებიც დამკვიდრებულია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, სადაც ხელოვნური ინტელექტი უკვე იქცა საგანმანათლებლო პროცესის, კვლევისა და მმართველობის სისტემური ტრანსფორმაციის ხელშემწყობ ინსტრუმენტად.

სტრატეგიის მიზანია უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა მიმართულებაში – სწავლება, კვლევა და ადმინისტრირება – ხელოვნური ინტელექტის ისე ინტეგრირება, რომ ის უზრუნველყოფდეს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, კვლევითი შესაძლებლობების გაფართოებას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული მართვის ეფექტიანობის ზრდასა და საზოგადოების საჭიროებებზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას.

დოკუმენტი აგებულია უნივერსიტეტის შიდა საჭიროებების გათვალისწინებითა და გარე გამოწვევების ანალიზზე დაყრდნობით. ის თანხვედრაშია ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებთან [საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2032](#), [საქართველოს ციფრული მმართველობის 2025-2030 წლების სტრატეგია](#), [ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტი](#), [UNESCO-ს „რეკომენდაცია ხელოვნური ინტელექტის ეთიკაზე“ \(2021\)](#) და ეყრდნობა საერთაშორისო ჩარჩოებს, რომლებიც განსაზღვრავს ხელოვნური ინტელექტის სანდო და ეთიკურ პრინციპებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ თსუ-ის ხელოვნური ინტელექტის სტრატეგია სრულად შეესაბამებოდეს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებს.

არსებული მდგომარეობის ანალიზი


ამჟამად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა ციფრული პლატფორმა, თუმცა ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა.

არსებობს მონაცემთა მართვის ერთიანი მიდგომასთან, ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების შეზღუდვებთან დაკავშირებული გამოწვევები, აკადემიური კეთილსინდისიერების რისკები, თუმცა პოტენციური საკმაოდ დიდია - განსაკუთრებით მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზის, სწავლების პერსონალიზაციისა და ადმინისტრაციული პროცესებისა და სტუდენტური სერვისების ავტომატიზაციისა და გაუმჯობესების კუთხით.


უნივერსიტეტში 2025 წელს შეიქმნა კომისია, რომელიც მუშაობდა საუნივერსიტეტო საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის საკითხებზე. ასევე, უნივერსიტეტში ჩატარდა არაერთი კვლევა და შეხვედრა, რომელიც საფუძვლად დაედო წარმოდგენილი სტრატეგიის შემუშავებას და ასახულია სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიაში (სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების მიღწევისა და შესრულების ინდიკატორების შეფასება მოხდება 6 თვეში ერთხელ რექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილი შემქნილი მონიტორინგის ჯგუფის მიერ).

2025 წლის ივლისში კომისიის ინიციატივით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნივერსიტეტში ჩაატარა კვლევები სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალისა და დამსაქმებელთა ჯგუფებს შორის. რესპონდენტთა ყველა ჯგუფში გამოიკვეთა AI წიგნიერების გაზრდის მიზნით ტრენინგების ჩატარებისა და ცოდნის გაღრმავების საჭიროება.

სტუდენტების კვლევა „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება და პასუხისმგებლობა საუნივერსიტეტო გარემოში“. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თსუ-ის შვიდივე ფაკულტეტიდან 305-მა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტმა. კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა დიდი წილი მოდის ბაკალავრიატის საფეხურზე - 75%, მაგისტრატურის საფეხურზეა 12%, ხოლო დოქტორანტურის საფეხურზე - 7%. დანარჩენი საფეხურის სტუდენტების რაოდენობა მერყეობს 1-3%-მდე. რესპონდენტთა 94% იყენებს ChatGPT-ს.




კვლევის მონაწილეთა შეფასებით, AI-ის გამოყენება უკავშირდება შემდეგ მთავარ რისკებს:



აღსანიშნავია, რომ სტუდენტ რესპონდენტთა 74% მხარს უჭერს ვალდებულებას მიუთითოს AI-ის გამოყენება თავიანთ აკადემიურ ნაშრომში. ეს მიანიშნებს ეთიკურ ჩარჩოებში მუშაობის მზაობაზე. სტუდენტთა უმნიშვნელო ნაწილი 8% ეწინააღმდეგება ზემოხსენებული პოლიტიკის დანერგვას, ხოლო 18%-ს ამ ეტაპზე საკითხთან დაკავშირებით არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევა „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო და კვლევით საქმიანობაში“. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 129 რესპონდენტმა თსუ-ის შვიდივე ფაკულტეტიდან. კვლევის ფარგლებში დადგინდა იქნა სასწავლო და კვლევითი პროცესის ის ძირითადი მიმართულებები, რომლებშიც პერსონალი ეფექტურად იყენებს AI-ის ტექნოლოგიებსა და პლატფორმებს.

ხელოვნური ინტელექტის სწავლება-კვლევის მიმართულებით გამოყენების სიხშირე



შენიშვნა: დიაგრამაზე წარმოდგენილია პერსონალის რაოდენობა.


ყველაზე ხშირად რესპონდენტები შეშფოთებას გამოთქვამენ შემდეგ საკითხებზე: აკადემიური არაკეთილსინდისიერება და პლაგიატი - რესპონდენტთა 75.2%, კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების დათრგუნვა - 52.7%, სიღრმისეული თეორიული ცოდნის ჩანაცვლება ზედაპირული ცოდნით - 47.3%, მცდარი ან მანიპულაციური ინფორმაციის გენერირება - 40.3%.

ვინაიდან გახშირდა ხელოვნური ინტელექტის არამართებულად გამოყენება სტუდენტების მხრიდან, რესპონდენტებმა გამოთქვეს სურვილი შემუშავდეს გარკვეული პოლიტიკისა და ეთიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა ტექნოლოგიის გამოყენების საზღვრებს. რესპონდენტთა 50%-ზე მეტი ემხრობა წესის შემოღებას, რომელიც სტუდენტებსა და ლექტორებს დაავალდებულებს AI-ის გამოყენების დეკლარირებას.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვლევა „ხელოვნური ინტელექტი სამუშაო პროცესებსა და სერვისებში“. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 126-მა რესპონდენტმა, მათ შორის 22 მაღალი რგოლის მენეჯერია, 44 - შუა რგოლის, ხოლო 60 - დამხმარე პერსონალია. აღმოჩნდა, რომ თსუ-ის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის უმრავლესობა, სამსახურებრივი ამოცანების შესასრულებლად იყენებს ხელოვნურ ინტელექტს სხვადასხვა სიხშირით (ჯამში სულ იყენებს პერსონალის 64.3%). გამოკითხულთა 35.7%-ის თქმით კი ხელოვნური ინტელექტი არასოდეს გამოუყენებია.

კვლევამ აჩვენა, რომ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ხელოვნური ინტელექტის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას ყველაზე მეტად ხედავს შემდეგი 5 მიმართულებებით: თარგმნა - რესპონდენტთა 65.1%, ანგარიშების, მოხსენებებისა და პრეზენტაციების შექმნა - 38.1%, რაოდენობრივ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი - 35.7%, კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის მომზადება - 34.9%, დოკუმენტების შინაარსობრივი რედაქტირება - 27.8%.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მიმართულებები




პერსონალი მიიჩნევს, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების კრიტიკულ სამეულში შედის: დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების შემცირების რისკი - რესპონდენტთა 50.8%, აკადემიური არაკეთილსინდისიერებისა და პლაგიატიზმის შემთხვევები - 42.9% და სიღმისეული თეორიული ცოდნის ჩანაცვლება ზედაპირული ცოდნით - 42.1%.

რისკების მიუხედავად, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის 32.5% მიიჩნევს, რომ ზედამხედველობის ან ნებართვის ფარგლებში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების დანერგვა სრულიად შესაძლებელია, 37.3% ნაწილობრივ ეთანხმება წარმოდგენილ დებულებას, ხოლო გამოკითხულთა 18.3%-ს უჭირს პასუხის გაცემა. ზედამხედველობის ან ნებართვის ფარგლებში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების დანერგვას ადმინისტრაციულ საქმიანობაში არ ეთანხმება რესპონდენტთა შედარებით მცირე რაოდენობა - 11.9% (15 რესპონდენტი 126-დან).


გამოკითხულთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ შეუძლია AI-ის სწორად და ეფექტიანად გამოყენება. თავდაჯერებულობის დაბალი მაჩვენებელი დააფიქსირა გამოკითხულთა 18.2%-მა, ხოლო AI-ის ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებაში ნაწილობრივ თავდაჯერებულია 23.8%. გამოკითხულთა ნაწილმა AI-ის ინტეგრაციის კუთხით საინტერესო იდეები შემოგვთავაზეს.

დამსაქმებელთა კვლევა „ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უნარები და კურსდამთავრებულთა მზაობა“. კვლევაში მონაწილეობა მიიღო შრომის ბაზრის სხვადასხვა სექტორიდან 22 დამსაქმებელმა (მონაწილეთა 64% მაღალი რგოლის მენეჯერი იყო).


ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს შესახებ



ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მიმართულებები დაწესებულებაში




ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული უნარების ჩამონათვალი, რომლებსაც უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული



არსებული მდგომარეობის ანალიზი საერთაშორისო მასშტაბით


EDUCAUSE-ის მიერ 2025 წლის ხელოვნური ინტელექტის ლანდშაფტის შესწავლის მიზნით ჩატარდა კვლევა ([The AI Wake-Up Call for Universities: Key Insights from the 2025 EDUCAUSE Survey](#), University of Massachusetts Amherst) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 788 პროფესიონალის გამოკითხვის საფუძველზე. კვლევა ასახავს აკადემიურ წრეებში AI-სთან დაკავშირებულ ამჟამინდელ განწყობასა და გამოცდილებას.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების მიერ ხელოვნური ინტელექტს გამოყენება სფეროების მიხედვით განსხვავებულია. სტუდენტების მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ამ ანგარიშის ფოკუსს წარმოადგენს. რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სტუდენტები ხელოვნურ ინტელექტს ძირითადად იყენებენ ამოცანების ამოსახსნელად (69%), ნაშრომის კორექტირებისა და რედაქტირებისთვის (67%), სტატიებისა და ლექციების ჩანაწერებიდან შინაარსის გამოტანისათვის (61%), იდეების გენერირებისთვის (55%) და სურათების ან აუდიოს გენერირებისთვის (54%).




რაც შეეხება აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, გამოკითხულთა 80%-ზე მეტმა განაცხადა, რომ ისინი უკვე იყენებენ AI-ს დღეში მინიმუმ ერთი სამუშაო დავალებისთვის მაინც. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სიის სათავეშია შინაარსის შეჯამება (74%) და სამუშაო გამოწვევებზე იდეების გენერირება (71%). იმ ამოცანების გაანალიზებით, რომლების გადასაჭრელადაც ყველაზე მეტად სარგებლობენ ხელოვნური ინტელექტის დახმარებით, უნივერსიტეტს შეუძლია უკეთ გაანაწილოს რესურსები და გაზარდოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროდუქტიულობა.

ადმინისტრაციული დავალებები, რომლებისთვისაც რესპონდენტები იყენებენ AI ინსტრუმენტებს




უნივერსიტეტები ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიისადმი ადამიანზე ორიენტირებულ მიდგომას ირჩევენ. ვინაიდან ხელოვნური ინტელექტი ყველგან გავრცელებული და ადვილად ხელმისაწვდომია, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის საკითხში ყურადღება ადამიანური ასპექტების მხარდაჭერასა და მართვაზეა გამახვილებული და ნაკლებად - თავად ინსტრუმენტებზე.

ხელოვნური ინტელექტთან დაკავშირებული სტრატეგიის ელემენტები



ხელოვნური ინტელექტი იძლევა როგორც შესაძლებლობებს, ასევე არის პოტენციური საფრთხის წყარო. რესპონდენტთა 98%-მა განაცხადა, რომ შეშფოთებულია დეზინფორმაციის გაზრდით, 90% საფრთხეს ხედავს მონაცემების თანხმობის გარეშე გამოყენებაში, ხოლო 88% შეშფოთებას გამოთქვამს ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული შინაარსის შეფასების უუნარობის გამო. წამოჭრილი 22 საფრთხის შემცველი სფეროდან, რესპონდენტთა სამ მეოთხედზე მეტმა განაცხადა, რომ მათგან 18-ის მიმართ, სულ მცირე, გარკვეულწილად “შეშფოთებული” იყო.

ხელოვნური ინტელექტის მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკები



მომდევნო ორი წლის განმავლობაში რესპონდენტები ზოგადად ოპტიმისტურად უყურებდნენ ხელოვნური ინტელექტის გავლენას უმაღლეს განათლებაზე. თუმცა, გამოითქვა შეშფოთება სტუდენტების ხელოვნურ ინტელექტზე დამოკიდებულების ზრდასთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი ზედმეტად ენდობიან დაგენერირებული შინაარსის სისწორეს (21% და 56%), ასევე აკადემიური არაკეთილსინდისიერების ზრდასთან დაკავშირებით (55%). 52% ფიქრობს რომ AI შეამცირებს სამუშაო დატვირთვას, ხოლო 23% - პირიქით მიიჩნევს. პერსონალის 40% კრიტიკულადაა განწყობილი AI ხელსაწყოების მიმართ, ხოლო 28% - ძალიან ენდობა. 28% ფიქრობს რომ AI-ს მიერ დაგენერირებული კონტენტი უახლოეს ორ წელიწადში ნაკლები უზუსტობის შემცველი იქნება, ხოლო 34% პირიქით მიიჩნევს.

ეს ტენდენციები ხაზს უსვამს ისეთი პოლიტიკის საჭიროებას, რომელიც ხელს შეუწყობს ხელოვნური ინტელექტის არაეთიკური გამოყენების შემცირებას, რაც ბევრი რესპონდენტისთვის შემაშფოთებელია. ხელოვნური ინტელექტის მართვის განვითარება, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის დამატებითი ტრენინგების ჩატარება და რისკების სწორად

გათვლა მხოლოდ რამდენიმე შესაძლებლობაა, რომლითაც უნივერსიტეტებს შეუძლიათ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ რისკებისთან გამკლავება.

ქვემოთ მოცემულია მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების მიმოხილვა AI სტრატეგიებისა და საუკეთესო პრაქტიკების შესახებ უმაღლეს განათლებაში, რომელთა ადაპტირებაც შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჭიროებების, მისიისა და მასშტაბის გათვალისწინებით.

- [Simon Fraser University \(SFU, კანადა\)](#): ჩამოაყალიბებული აქვს AI სტრატეგიის კომიტეტი, რომელიც ფოკუსირებულია სწავლასა და სწავლების პროცესზე, კვლევაზე, ოპერაციებსა და გარე ჩართულობაზე.
- [Monash University \(ავსტრალია\)](#): შექმნილი აქვს ხელოვნური ინტელექტის მართვის კომიტეტი (AISC), რომელიც კოორდინირებს AI სტრატეგიას განათლების, კვლევისა და ოპერირების მიმართულებით. განსაკუთრებული აქცენტი გამახვილებულია AI წიგნიერებაზე ყველა თანამშრომლისა და სტუდენტისთვის, ასევე აფინანსებს პროექტებს ამ მიმართულებით.
- [Stanford University \(ამერიკის შეერთებული შტატები\)](#): ყურადღებას ამახვილებს ინოვაციასა და პასუხისმგებლობას შორის ბალანსზე, „უსაფრთხო სივრცეებში“ ექსპერიმენტების წახალისებით და შესაბამისი წესების დაწესებით; ფოკუსირებულია გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებაზე, მათ შორის მხარს უჭერს ეთიკის საბჭოზე საჯარო განხილვას; უზრუნველყოფს მოქნილ ჩარჩოებს პროფესორებისთვის უნივერსიტეტის მასშტაბით მკაცრი წესების დაწესების ნაცვლად.
- [University of Michigan \(ამერიკის შეერთებული შტატები\)](#): პრიორიტეტს ანიჭებს სტუდენტზე ორიენტირებულ AI სისტემებს, მაგალითად MiMaizey AI ასისტენტს, რომელიც ინტეგრირებულია სასწავლო მართვის სისტემებთან და კამპუსის ინფორმაციასთან, აგროვებს სტუდენტთა უკუკავშირს მუდმივი განვითარებისათვის. აქვს AI ზედამხედველობის კომიტეტი ახალი ინიციატივებისთვის.
- [Emory University \(ამერიკის შეერთებული შტატები\)](#): სწრაფი ინტერდისციპლინური AI შესაძლებლობები განავითარა სტრატეგიული პროფესორ-მასწავლებლების დაქირავებით მრავალ დეპარტამენტში, ასევე თანამშრომლობის წახალისებით. მაგალითად შეიძლება მიეთითოს AI.Humanity Seed Grant Program Georgia Tech-თან, რომელიც ფოკუსირებულია სოციალურ გამოწვევებზე. მისი AI სწავლების ცენტრი შტატის მასშტაბით ავითარებს საგანმანათლებლო ინიციატივებს.

- [State University of New York \(SUNY System - ამერიკის შეერთებული შტატები\)](#): შემოდებული აქვს AI ჩარჩო განსაკუთრებული აქცენტით სამართლიანობაზე, გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალობაზე და ძლიერი უსაფრთხოებაზე. მიდგომა ფოკუსირებულია AI-ის საზოგადოებრივ კეთილდღეობის მიზნით გამოყენებაზე.
- [Massachusetts Institute of Technology \(MIT - ამერიკის შეერთებული შტატები\)](#): ახორციელებს რეგულარულ აუდიტს ეთიკის მიმართულებით და აქვს მმართველი კომიტეტი ეთიკური AI დანერგვისთვის; ფოკუსირებულია ამ მიმართულებით ფართომასშტაბიან ცნობიერების ამაღლებაზე.
- [University of California, Berkeley \(ამერიკის შეერთებული შტატები\)](#): AI-ს იყენებს სტუდენტური მხარდაჭერის სერვისების გასაუმჯობესებლად, მონაცემთა კონფიდენციალურობისა და ინფორმირებული თანხმობის შესახებ მკაფიო პოლიტიკით.
- [Harvard University \(ამერიკის შეერთებული შტატები\)](#): აქცენტს აკეთებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე, მათ შორის სტუდენტებისა და მასწავლებლების საკონსულტაციო პანელებზე.
- [Arizona State University \(ამერიკის შეერთებული შტატები\)](#): AI-ს იყენებს ადაპტური სწავლების პლატფორმებში, აქცენტით პერსონალიზებულ სწავლებაზე.
- [Carnegie Mellon University \(ამერიკის შეერთებული შტატები\)](#): პრიორიტეტს ანიჭებს ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას AI პროექტებში და აკადემიური პროგრამების შერწყმას სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან.

სტრატეგიული მიზანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზანია ხელი შეუწყოს ხელოვნური ინტელექტის საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციის მდგრად პროცესს, რომელიც ეფუძნება ეთიკური და პასუხისმგებლიანი გამოყენების სტანდარტების ჩამოყალიბებასა და დანერგვას. აგრეთვე, მხარი დაუჭიროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო/კვლევით სფეროში ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის ეფექტიან გამოყენებას.

აღნიშნული მიზნის რეალიზაცია მიმართულია ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელიც განამტკიცებს ცოდნისა და ინოვაციის ტრანსფერს, ხელს უწყობს მაღალი ხარისხის კვლევებს, სწავლა-სწავლების განვითარებას და წარმოაჩენს უნივერსიტეტის როლს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში.

უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობების და საფრთხეების ანალიზი (SWOT)

ძლიერი მხარე:

- ინტენსიური საერთაშორისო თანამშრომლობა და პარტნიორები;
- მდიდარი დარგობრივი საბიბლიოთეკო/ელექტრონული რესურსები;
- კვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი;
- დარგობრივი მიმართულების სწავლებისა და კვლევის გამოცდილება;
- საუნივერსიტეტო საზოგადოების მიმდებლობა ციფრული ტრანსფორმაციისადმი.

სუსტი მხარე:

- არასაკმარისი ციფრული ინფრასტრუქტურა/მატერიული რესურსები;
- რთული ბიუროკრატიული ორგანიზაციული პროცესები;
- ტექნოლოგიების გადაცემის/კომერციული კვლევების მცირე რაოდენობა;
- ციფრული მიმართულებით სპეციალიზებული გადამზადების/ მომზადების პროგრამების სიმცირე;
- სპეციალიზებული პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა.

შესაძლებლობა:

- საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტებისა და დაფინანსების მოზიდვის პოტენციალი;
- აკადემიური და ინდუსტრიული პარტნიორობის გაფართოება როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე;
- AI-ის ინტეგრაცია სტუდენტურ სერვისებში;
- AI-ის ინტეგრაცია სასწავლო და კვლევით პროცესებში;
- საუნივერსიტეტო საზოგადოების მაღალი მოტივაცია ციფრულ/AI ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

საფრთხეები:

- არაფორმალური განათლების მიღების მეტად ხელმისაწვდომობა და დასაქმების მზარდი შესაძლებლობები
- AI-ს გამოყენების ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩოების არ არსებობა სახელმწიფო დონეზე
- კვალიფიციური კადრების გადინება კერძო სექტორში ან უცხოეთში
- სახელმწიფოს მხრიდან არამდგრადი ან არასაკმარისი დაფინანსება
- ციფრული და ტექნოლოგიური პროგრესის სწრაფი ტემპი და უნივერსიტეტის ადაპტაციის სირთულე

რისკების მართვა

რისკი	გამოვლინება	გავლენა	კონტროლი
აკადემიური არაკეთილსინდისიერება	AI-ით გენერირებული ნაშრომები/პლაგიატი	მაღალი	AI გამოყენების დეკლარირება; შეფასების დიზაინის განახლება; ცნობიერების ამაღლება
დეზინფორმაცია	მცდარი/ჰალუცინირებული პასუხები	საშუალო/მაღალი	კრიტიკული აზროვნების მოდულები; წყაროების გადამოწმების წესები
მონაცემთა მთლიანობის დარღვევა	პერსონალური მონაცემების გაჟონვა	მაღალი	მონაცემთა კლასიფიკაცია; უსაფრთხო პლატფორმები; წვდომის კონტროლი
მიკერძოება/დისკრიმინაცია	შედეგი მიკერძოებულია	საშუალო	ტესტირება/აუდიტი; ეთიკური შეფასება
ზედმეტი დამოკიდებულება	უნარების დათრგუნვა	საშუალო	ჰიბრიდული მიდგომა; სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების დახვეწა

სამოქმედო გეგმა (2026-2029)

სამოქმედო გეგმა შექმნილია მცისიერი (არაუმეტეს 1 წელი) და საშუალოვადიანი (არაუმეტეს 3 წელი) რეაგირების აქტივობებზე:

აქტივობა	შესრულების პერიოდი	სამიზნე ნიშნული	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი ერთეული
უნივერსიტეტში საჭირო ტრენინგ-კურსებისთვის შესაბამისი ტრენერების მოძიება/გადამზადება	01.03.2026-01.05.2026	უნივერსიტეტის სივრცეში მინიმუმ 4 ტრენერი AI-ის თემატიკაზე უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების გადამზადებისთვის საჭირო შესაძლებლობებით და უნარებით	ტრენერებთან გაფორმებული კონტრაქტები; გადამზადებული ტრენერები	უწყვეტი განათლების ცენტრი; ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი; ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი
სპეციალიზებული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგ-კურსები (AI ინტრუმენტების გამოყენებაზე) აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის	01.05.2026-01.12.2026	თითოეულ ფაკულტეტზე/სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისთვის მინიმუმ 2 ტრენინგ-კურსის შეთავაზება	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	უწყვეტი განათლების ცენტრი; ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი; ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი
სპეციალიზებული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგ-კურსები (AI ინტრუმენტების გამოყენებაზე) ადმინისტრაციული პერსონალისთვის	01.05.2026-01.12.2026	უნივერსიტეტის ცენტრალური და ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალისთვის მინიმუმ 2 ტრენინგ-კურსის შეთავაზება	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	უწყვეტი განათლების ცენტრი; ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი; ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი
შემუშავდეს სპეციალიზებული	01.05.2026-01.12.2026	უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მინიმუმ 3	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	უწყვეტი განათლების ცენტრი;

გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგ-კურსები (AI ინტრუმენტების გამოყენებაზე) სტუდენტებისთვის		ტრენინგ-კურსის შეთავაზება		ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი
პარტნიორობის ქსელის გაფართოება ტექნოლოგიურ კომპანიებთან, ინკუბატორებთან და სტარტაპებთან	01.03.2026-01.03.2029	ინკუბატორებთან/სტარტაპებთან კოოპერაციით ერთობლივი საგანმანათლებლო, კვლევითი და პრაქტიკული პროექტების განხორციელება (წელიწადში არანაკლებ 3)	აქტიური პარტნიორი ტექნოლოგიური კომპანიების რაოდენობა, ჩატარებული პროექტების რაოდენობა; მონაწილე სტუდენტების რაოდენობა	ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი; ფაკულტეტები
უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკის შემუშავება AI-ის ეთიკური და პასუხისმგებლიანი გამოყენებისთვის სწავლა-სწავლებასა და კვლევაში	01.03.2026-01.01.2027	უნივერსიტეტში AI-ს ეთიკური და პასუხისმგებლიანი მოხმარების პოლიტიკის დანერგვა და ამ მიზნით პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება (ასევე სხვადასხვა მარეგულირებელ აქტში AI-ის გამოყენების საკითხების ასახვა)	პოლიტიკის დოკუმენტი (სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში საჭირო ცვლილებები)	ხარისხის უზურნველყოფის სამსახური; სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი; იურიდიული დეპარტამენტი
ციფრული სერვისების მოდერნიზაცია AI ტექნოლოგიების გამოყენებით	01.03.2026-01.01.2027	სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩატბოტების ინტეგრირება	სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებული AI ტექნოლოგიები	საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი; სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი
საჭიროების გათვალისწინებით ლიცენზირებულ პლატფორმებზე წვდომის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის	01.03.2026-01.01.2027	ფასიან AI აპლიკაციებზე წვდომა	შესყიდული ფასიანი სერვისები რაოდენობა და მათი განაწილება	ბიბლიოთეკა; ფაკულტეტები; საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი; ცოდნის გადაცემისა და

პერსონალისა და სტუდენტებისთვის				ინოვაციების ცენტრი
ჰაკათონების, კონკურსების, AI Bootcamp-ების მოწყობა სტუდენტებისთვის	01.03.2026-01.03.2029	წელიწადში არანაკლებ 2 აქტივობა (ჰაკათონი, კონკურსი, AI Bootcamp)	ჩატარებული აქტივობების რაოდენობა	უწყვეტი განათლების ცენტრი; ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი; ფაკულტეტები
საჯარო ლექციები, სემინარები და კურსები AI თემატიკაზე ფართო საზოგადოებისათვის	01.03.2026-01.03.2029	წელიწადში არანაკლებ 2 აქტივობა საჯარო ლექციის, საჯარო სემინარის ან/და კურსის სახით ;	აქტივობების რაოდენობა	უწყვეტი განათლების ცენტრი; ფაკულტეტები; საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
AI ტექნოლოგიების გამოყენების ცნობადობის კამპანია	01.03.2026-01.03.2027	სოციალური მედიის გამოყენება და საინფორმაციო მასალების განთავსება (ბანერი; ვიდეო-რგოლი და სხვ.)	სოციალური მედიაში გამოქვეყნებული საინფორმაციო მასალები; გამოხმაურების მაჩვენებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
საგამანათლებლო პროგრამებში ხელოვნური ინტელექტის სწავლების ინტეგრაცია	01.03.2026-01.03.2027	უნივერსიტეტის სტუდენტთათვის შესაბამისი სასწავლო კურსის მომზადება ციფრული უნარების და ხელოვნური ინტელექტის თემატიკაზე	აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასწავლო კურსი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ფაკულტეტები
სასწავლო პროცესის დაგეგმვის ავტომატიზაცია (განრიგი, ცხრილები და ა.შ.)	01.03.2026-01.03.2027	უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შესაბამისი ფუნქციონალის დამატება	სასწავლო პროცესის დაგეგმვის ავტომატიზაცია	საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი; ფაკულტეტები
AI-ის გზამკვლევის	01.03.2026-	ქართულ ენაზე შედგენილი,	AI-ის გზამკვლევი	საინფორმაციო

შემუშავება	01.12.2026	პერსონალის და სტუდენტების საჭიროებებზე მორგებული AI-ის პრაქტიკული გამოყენების სახელმძღვანელო დოკუმენტი		ტექნოლოგიების დეპარტამენტი; ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება	01.03.2026- 01.03.2028	საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში AI-ს გავლენაზე, გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით ერთობლივი კონფერენციის მოწყობა	ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი; ფაკულტეტი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ინდივიდუალური და კოლაბორაციული მუშაობისთვის სივრცეების მოწყობა	01.03.2026- 01.03.2029	ინდივიდუალური და კოლაბორაციული სამუშაო სივრცის მოძიება და შესაბამისი ინვენტარით (მათ შორის ციფრული ტექნიკით, ავეჯით) აღჭურვა	სასწავლო კამპუსებში სამუშაო სივრცეების რაოდენობა	მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი; საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი